

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

**2024 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „შვიდი მითი ტრედი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3.1	1 054	1 004
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4 418 097	4 392 734
გადახდილი ავანსები		608 569	1 000 265
მარაგები	3.2	1 142 145	1 663 013
წინასწარ გადახდილი გადასახადები		9 788	54 673
გაცემული მიმდინარე სესხები		-	506 769
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		6 179 654	7 618 458
ძირითადი საშუალებები	3.3	2 774	6 175
არამატერიალური აქტივები		-	212
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		843 904	620 000
სულ აქტივები		7 026 332	8 244 845
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4	2 518 124	3 287 273
საგადასახადო ვალდებულებები		8 515	134 816
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		30 959	22 519
სასესხო ვალდებულებები	3.5	3 023 127	3 202 625
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 580 725	6 647 233
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1 445 607	1 597 611
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7 026 332	8 244 845

დირექტორი

მამუკა სამხარაძე _____

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან		16 346 039	15 849 689
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		344 594	196 315
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(15 182 412)	(15 174 460)
საერთო მოგება		1 508 222	871 544
დასაქმებულთა ანაზღაურება		(431 587)	(259 023)
იჯარის ხარჯი		(518 303)	(487 831)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(3 613)	(1 988)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.6	(295 995)	(209 103)
საპროცენტო ხარჯი		(247 618)	(251 393)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		11 105	(337 794)
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		(1 865)	(243 054)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(54 120)	(135 949)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		68 913	85 835
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		24 033	(630 962)
მოგების გადასახადის ხარჯი		(26 406)	(73 490)
წლის (ზარალი)/მოგება		(2 372)	(704 452)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		(2 372)	(704 452)

დირექტორი

მამუკა სამხარაძე _____

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685 382	2 685 382
შეცდომების გასწორება		33 122	33 122
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - გადაანგარიშებით	-	2 718 505	2 718 505
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(704 452)	(704 452)
განაწილებული დივიდენდი	-	(416 442)	(416 442)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 597 611	1 597 611
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(2 372)	(2 372)
განაწილებული დივიდენდი	-	(149 632)	(149 632)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 445 607	1 445 607

დირექტორი

მამუკა სამხარაძე _____

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	18 477 364	18 669 444
გადახდილი გასამრჯელოები	(276 293)	(202 641)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(14 849 620)	(14 750 735)
გადასახადები	(2 939 101)	(2 777 974)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	98	
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	412 449	938 094
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	-	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი ინვესტიციების შესაძენად	(209 000)	-
მიღებული პროცენტები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(209 000)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	974 352	2 514 911
მიღებული სესხის გადახდა	(825 438)	(2 842 479)
სესხის გაცემა	-	(300 000)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	300 000
გაცემული დივიდენდები	(142 150)	(395 620)
გადახდილი პროცენტები	(212 869)	(215 012)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(206 105)	(938 199)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(2 656)	(106)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	1 004	3 570
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2 707	(2 461)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	1 054	1 004

დირექტორი

მამუკა სამხარაძე _____

**2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი ტრეიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 22 ივნისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405214110, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გოთუას ქ., N 10-12, ოფისი N3. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 60%;

მამუკა სამხარაძე (01024005082) - 40%

1.3. კომპანიის დირექტორია მამუკა სამხარაძე.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ხორცისა და ხორც-პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია, ასევე სასაწყობო (სამაცივრო) ფართის ქვე-იჯარა.

1.5. კომპანიას ჰყავს ორი მეკავშირე საწარმო - შპს „შვიდი ფუდ“ (ს/კ 405450248), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 50%-ს და შპს „7 ლოჯისტიკა პლიუსი“ (406467292), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობაც შეადგენს 50%-ს. მეკავშირე საწარმოების ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა შესაბამისად: 1. საკვები პროდუქტით, მ.შ. ხორცითა და ხორც-პროდუქტებით ვაჭრობა და 2. სასაწყობო მეურნეობისა და ლოჯისტიკური ცენტრის საქმიანობა.

1.6. 2024 წელს, კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 12 კაცს.

1.7. კომპანიის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი **მსს ფასს**.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს

ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. ინვესტიციები

საწარმო თავის არაკოტირებულ ინვესტიციებს მეკავშირე საწარმომოში აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით, რა დროსაც ეს ინვესტიციები ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სიდიდით.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის (გარდა რამდენიმე ტიპის გამონაკლისი ფინანსური დაწესებულებებისა, რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. ცვლილებები წარგენაში და გადაანგარიშება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოავლინა შეცდომები გასული წლების გამოცემულ ანგარიშგებებთან მიმართებით, კერძოდ:

- არასწორად იყო გაანგარიშებული უცხური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შემოსულობა/(დანაკარგი), შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 22 388 ლარით შესწორდა გაუნაწილებელი მოგებისა და გაცემული სესხების საბალანსო მონაცემები.

- აღრიცხვის ლოკალური ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ 10 734 ლარით დაკორექტირდა (შემცირდა) რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯი.

საწარმოს მიაჩნია, რომ ცვლილებები წარმოადგენს სანდო და უფრო შესაბამის ინფორმაციას.

2.9. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.10. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1USD=2.6894ლარი; 1EUR=2.9753 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1USD=2.8068 ლარი; 1EUR=2.9306 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული	54	4
ფულადი სახსრები ბანკებში	1 000	1 000
სულ ფულადი სახსრები	1 054	1 004

3.2 მარაგები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი	1 142 145	1 663 013
სხვა მარაგები	-	-
სულ მარაგები	1 142 145	1 663 013

3.3 ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. 2024 წელს ამ მუხლში აღრიცხული აქტივები სრულად შედგება კომპიუტერული ტექნიკისა და ავეჯისაგან.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	761 170	1 010 531
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	1 756 954	2 276 742
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2 518 124	3 287 273

3.5 მიღებული სესხები:

ლარი	31.12.2024	31.12.2023
მიღებული საბანკო სესხები	2 305 709	2 265 822
სესხები ბიზნეს პარტნიორებისგან	717 418	936 804
სულ სასესხო ვალდებულებები	3 023 127	3 202 625

3.6 მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024	2023
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	213 996	111 701
დაზღვევის ხარჯი	1 911	-
მივლინების ხარჯი	-	5 293
დასუფთავება და სხვა კომუნალური	844	1 333
კომუნიკაციის ხარჯი	440	1 944
კომპიუტერის ხარჯი	2 649	1 689
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	5 314	3 500
დაცვის ხარჯი	407	1 220
საგადასახადო ხარჯი	37	62
საბანკო ხარჯი	64 856	65 652
საკანცელარიო და ოფისის სხვა ხარჯი	2 136	572
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	3 405	16 139
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	295 995	209 103

3.7 განაწილებული დივიდენდი

2024 წელს კომპანიის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება გასულ წლებში მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ, კერძოდ 149 631.58 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2024 წელს კომპანიას წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 26 405.57 ლარი შეადგინა.

3.8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს.

3.9. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

2024 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

შპს „შვიდი მითი ტრედი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3.1	1 054	1 004
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4 418 097	4 392 734
გადახდილი ავანსები		608 569	1 000 265
მარაგები	3.2	1 142 145	1 663 013
წინასწარ გადახდილი გადასახადები		9 788	54 673
გაცემული მიმდინარე სესხები		-	506 769
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		6 179 654	7 618 458
ძირითადი საშუალებები	3.3	2 774	6 175
არამატერიალური აქტივები		-	212
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		843 904	620 000
სულ აქტივები		7 026 332	8 244 845
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4	2 518 124	3 287 273
საგადასახადო ვალდებულებები		8 515	134 816
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		30 959	22 519
სასესხო ვალდებულებები	3.5	3 023 127	3 202 625
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 580 725	6 647 233
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1 445 607	1 597 611
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7 026 332	8 244 845

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



შპს „შვიდი მითი ტრედი“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან		16 346 039	15 849 689
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		344 594	196 315
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(15 182 412)	(15 174 460)
საერთო მოგება		1 508 222	871 544
დასაქმებულთა ანაზღაურება		(431 587)	(259 023)
იჯარის ხარჯი		(518 303)	(487 831)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(3 613)	(1 988)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.6	(295 995)	(209 103)
საპროცენტო ხარჯი		(247 618)	(251 393)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		11 105	(337 794)
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		(1 865)	(243 054)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(54 120)	(135 949)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		68 913	85 835
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		24 033	(630 962)
მოგების გადასახადის ხარჯი		(26 406)	(73 490)
წლის (ზარალი)/მოგება		(2 372)	(704 452)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		(2 372)	(704 452)

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



შპს „შვიდი მითი ტრედი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685 382	2 685 382
შეცდომების გასწორება		33 122	33 122
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - გადაანგარიშებით	-	2 718 505	2 718 505
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(704 452)	(704 452)
განაწილებული დივიდენდი	-	(416 442)	(416 442)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 597 611	1 597 611
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(2 372)	(2 372)
განაწილებული დივიდენდი	-	(149 632)	(149 632)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 445 607	1 445 607

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



შპს „შვიდი მითი ტრედი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	18 477 364	18 669 444
გადახდილი გასამრჯელოები	(276 293)	(202 641)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(14 849 620)	(14 750 735)
გადასახადები	(2 939 101)	(2 777 974)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	98	
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	412 449	938 094
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	-	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი ინვესტიციების შესაძენად	(209 000)	-
მიღებული პროცენტები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(209 000)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	974 352	2 514 911
მიღებული სესხის გადახდა	(825 438)	(2 842 479)
სესხის გაცემა	-	(300 000)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	300 000
გაცემული დივიდენდები	(142 150)	(395 620)
გადახდილი პროცენტები	(212 869)	(215 012)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(206 105)	(938 199)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(2 656)	(106)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	1 004	3 570
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2 707	(2 461)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	1 054	1 004

დირექტორი

მამუკა სამხარაძე

